

შპრმშის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №12(122) 2016 წ. 16-30 ივნისი წასი 50 თეთრი

„ალთობა-2016“ ქარის მოსავლის პირველი შედეგები დააინფორმებელია

წელს საქართველოში თავთავიანი მარცვლეული კულტურები მთლიანად 120000 ჰა-ზე დათესილი. მათ შორის ხორბალი – 80000 ჰა-ზე, ქერი – 40000 ჰა-ზე. ტრადიციულად კახეთს უწოდებენ საქართველოს ბელელს, ვინაიდან ის არის თავთავიანი მარცვლეული კულტურების უდიდესი მწარმოებელი რეგიონი საქართველოში. კახეთზე მოდის ქვეყნის ხორბლის ნათესების ნახევარზე მეტი. ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს დათესილი იყო ხორბალი 5430 ჰა-ზე და ქერი – 1810 ჰა-ზე. მიხედვად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, იერისპირეთში ალოობა დაიწყო. შარშან მუნიციპალიტეტში ხორბლისა და ქერის სარეკორდო მოსავალი იქნა მიღებული. 2014 წელს მარცვლეული კულტურების დაბალი მოსავლიანობის მიზეზი ჩვენს მუნიციპალიტეტში თუ ერთის მხრივ გვაღვავა და მძიმე კლიმატური პირობები იყო, მეორეს მხრივ ფერმერების დიდი ნაწილი არ, ანდა, ვერ იცავდა მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკურ მოთხოვნებს, არ ამუშავებდა ნიადაგს თანამედროვე ტექნოლოგიით. გარდა ზემოთ აღნიშნული მიზეზებისა, თავთავიანი კულტურების დაბალი მოსავლიანობის მიზეზი ჯიში და თესლია, რასაც ადასტურებს ხალხური გამოთქმა, „რასაც დათესავ, იმას მიიმიკო“. მიმდინარე წლის თავთავიანი კულტურების აღება იერისპირეთში 15 ივნისიდან დაიწყო. პირველად საშემოდგომო კულტურების აღება ბოგდანოვკის (მხისვული), შიბლიანის, ბადიაურის და ყანდაურის ფერმერებმა დაიწყეს. პირველადი შედეგები წელსაც დამაიმედებელია. ბევრი ფერმერი 1 ჰა-ზე 3-3.5 ტონა ქერს მკის.

ქერის საშუალო მოსავლიანობა გასულ წელს 4,1 ტონა იყო, წელს შედარებით დაბალი საშუალო მოსავლიანობაა მოსალოდნელი. ძირითადი მიზეზი კი არის რთული კლიმატური პირობები, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს ახასიათებს, კერძოდ, ზამთარში და გაზაფხულის დასაწყისში მქროლავი ქარები, რომლის სიჩქარე 25-27 მ/წმ-ს აღემატება. ამასთან, წამყვანი თავთავიანი კულტურების მოსავლიანობა მთლიანად დამოკიდებულია ქარსაფარების არსებობაზე. სწორედ ქარსაფარები იცავენ ნიადაგს ნაყოფიერი ჰუმუსის ფენას სრული განადგურებისაგან. ჩვენს მუნიციპალიტეტში ადრე არსებული ქარსაფარიდან დიდი რაოდენობის ფართობი (ზუსტი ინვენტარიზაცია არ არსებობს), გაჩეხილია. რაც შეეხება ერთზოლიან ქარსაფარებს, რომლებიც უფრო სიცხისაგან და გვაღვავისაგან დასაცავად იყო გამოიხვენი, ჩვენი მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა ტერიტორიულ ორგანოში არსებობდა, ძირითადად გზებისა და მდინარეების ნაპირებზე. მართალია, მათი მასიური გაჩეხვა არ მომხდარა, თუმცა აქაც დიდი რაოდენობაა გაჩეხილი, ან ამორტიზებული და საჭიროებს განახლებას. უკვე რამდენიმე წელია, რაც მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობას ყველაზე დიდი დარტყმა ქარსაფარების განადგურებამ მოუტანა. მარტო მიმდინარე წლის მარტში 200 ჰა-ზე მეტი დაზიანდა. ჩვენი მუნიციპალიტეტის ფერმერებისათვის ქარსაფარების რეაბილიტაცია სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესია სახანაგ-სათვის სავარგულებისა და საძოვრების და შესაბამისად მემარცვლეობისა და მესაქონლეობის დარგების შესანარჩუნებლად და განსავითარებლად.

ჩვენთან დაბალი მოსავლიანობის გამოწვევი მიზეზი არის ის ფაქტორიც, რომ არსებულ ნაკვეთებზე არ მიმდინარეობს კულტურათა მორიგეობა-თესვლბრუნვა, არ არსებობს მარცვლეულ კულტურებზე ორიენტირებული მცენარეთა დაცვის სისტემა. ითესება წინასწარ შეუმოწმებელი ჯიშების და პიბრიდების თესლი. ფერმერებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ მაღალი მოსავლის მისაღებად სწორი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება საჭირო, პირველ რიგში კი ნიადაგის ძირითადი დამუშავება და სწორი აგროტექნიკური ვადებში ხარისხიანი თესლის დათესვა.

ნიკო ჯაგანიშვილი,

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი.



ვილოცვა



დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბ-ნ ვრიდონ ბურღულს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სამსახურებრივ წარმატებებსა და ბედნიერ ოჯახურ ცხოვრებას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა გაზეთ „გარეჯოს მაცნე“ რედაქცია

ბათუმში ევროპის პირველობაზე კარატოში ორმა საგარეჯოელმა – დავით ლაფანიშვილმა (უმცროს ასაკში) და ვანო ბიბილოშვილმა ჩემპიონის ტიტულები მოიპოვეს! ვულოცავთ ორივე ჩემპიონს ამ დიდ ბამარჯვებას, ხოლო დავით ლაფანიშვილს დაბადების დღესაც!



ბათუმის 25-26 ივნისის ევროპის დია ჩემპიონატში კარატე გოჯუ-რიუში 15 კეკენის 400 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. დავით ლაფანიშვილმა (უმცროსი ასაკი) კატაში ევროპის მედალი მოიპოვა. მეორე დღეს კი ჩხუბში ევროპის ჩემპიონის ტიტული. მან ნოკაუტით რუს სპორტსმენს ფინალში მოუგო. მის გულშემატკივრებს დავითის გამარჯვება არც გაკვირვებიათ. ისინი წლებია თვალყურს ადევნებენ მის შრომისმოყვარეობას, ნებისყოფას, შემართებას, მიზანდასახულობას და სჯერათ, რომ მომავალში დიდი წარმატებებს მიაღწევენ. დავითს 6 ივლისს 14 წელი უსრულდება. ამ დღისათვის მას 44 სხვადასხვა სინჯის მედალი აქვს მოპოვებული, არის შავი ქამრის და პირველი დანის მფლობელი, სამჯერ ევროპის, ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი და ერთხელაც მსოფლიო თასის მფლობელი.

ამასთან, ამავე ჩემპიონატზე დიდებს შორის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ბადიაურელმა ვანო ბიბილოშვილმა. იგი 4 წელი ბადიაურელ ბავშვებს კარატეს ასწავლის. ვანო არის საქართველოს ოთხჯგის ჩემპიონი, კავკასიის, შავი ზღვისა და თბილისის თასების გათამაშების გამარჯვებული. მეშვიდე წელია საქართველოს კარატეს ნაკრების წევრია აბსოლუტურ ასაკში. (ერველ მასლას ამ სპორტსმენების შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ).

მუნიციპალური გვერდი

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სესიის



საბარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 ივნისის რიგგარეშე სესიის დროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შრიდონ ბურღული უძღვებოდა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტოტო მასალის გასაკრეფლად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალ. მუხომბერიძე.

განხილული საკითხის შემდეგ საკრებულომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 9 ივნისის №01-02/1176 მომართვის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტოტო მასალის გამოსაფენად (გამოსაფენად) განისაზღვრა შემდეგი ადგილები:

- ა) კულტ-სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მშენებლობა;
- ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული სასწრაფო-ადგილობრივი დაფინანსებად კაპიტალური მშენებლობის სახეობის (ფულგობაშვილი) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მშენებლობა, გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა. აგრეთვე, მათ მიერ დაფინანსებული იურიდიული პირების საკუთრებაში (ფულგობაშვილი) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მშენებლობა.
- გ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ბანთაფარეხების გზებზე – საში მშენებლის სიმაღლეზე დაფინანსებით. მაგრამ, თუ გზებზე დაფინანსებულია კანალები, სადენები და სხვა ელ.მოწყობილობები – არაშემთხვევითი მშენებლის სიმაღლეებისა.
- 2. გზებზე საავტოტო მასალის შემაღლება გამრიცხვით შენობა-ნაგებობებისა და სხვა ობიექტებზე მათი მსაკუთრების ან ფულგობაშვილის თანხმობის შემთხვევაში, გარდა ამასვე ბანკარტული პირების მიერ შენობა-ნაგებობებისა.
- 3. აგრეთვე საავტოტო მასალის ბაგრა (ბამოშენა) საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მის: ქ. საბარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. №9), სასამართლოს (მის: ქ. საბარეჯო, ნ. შირთმანის №7), პროკურატურის (მის: ქ. საბარეჯო, კახეთის ბუჩქნაპირი №10), სამხედრო შენობებისა (მის: სოფელ მუხომბერის სამხედრო ბაზა; სოფელ კალდოს სამხედრო ბაზა) და პოლიციის (მის: ქ. საბარეჯო, კახეთის ბუჩქნაპირი №110) შენობების ორგანოებისა და მშენებლობის, აგრეთვე საბაზო ნიშნებზე.

მუნიციპალიტეტები მინაზე საკუთრების აღიარების კომისიები აღმასრულებელ ორგანოსთან შეიქმნება

თვითმმართველ დაკავებულ მიწაზე საკუთრების აღიარებაზე უფლებამოსილი კომისიების ინსტიტუციური დაქვემდებარების წესი იცვლება. ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოების ნაცვლად, ასეთი კომისიები აღმასრულებელ ორგანოებთან (გამგებელი/მერი) შეიქმნება. შესაბამისი ცვლილებები „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა. ამიერიდან კომისიების საქმიანობა სახ-

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებობის თათბირი

21 ივნისი, 2016 წელი



საბარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის გამგებელი ბიორბი ბიორბიძე უძღვებოდა. თათბირს გამგებლის მოადგილე ლაშო ივანიშვილი, გამგებობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი ბიორბიძე შარდლოვანიძე, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების გამგე ბექა ფეიქრიშვილი და მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში გამგებლის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თათბირზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მუნიციპალიტეტის თემებსა და ცალკეულ სოფლებში შექმნილ მდგომარეობას. როგორც აღმოჩნდა, თითქმის ყველა სოფელშია საჭირო მძიმე ტექნიკით დაზიანებული სასოფლო გზებისა და საავტოტო გზებზე მისასვლელი გზების მოწესრიგება. ამ მიზნით დაისახა გეგმა-გრაფიკი მძიმე ტექნიკის მიერ შესასრულებელი სამუშაოებისათვის.

მოსმენილ იქნა ზეპირი ინფორმაციები იმ სოფლების გამგებლის წარმომადგენლებთან, სადაც დაზიანებული იყო სასმელი წყლის მიღები ან შეფერხებით მიწოდება წყალი მოსახლეობას. გაირკვა, რომ ეს პრობლემები უკვე მოგვარდა.

თათბირზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯაფარიძემ ვრცელი ინფორმაცია გააკეთა 15.20 მაისსა და 12 ივნისს მოხუცი სტეფანო მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის შესახებ. ასევე ისაუბრა სტიქიისგან დაზარალებულ ბენეფიციართა დაუზუსტებელი და დაზუსტებული სიების შესახებ.

თათბირზე იმსჯელეს სხვადასხვა საკითხებზე და დასახეს ღონისძიებები იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომელთა დროული მოგვარებაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ნორმალური ცხოვრების პირობებს შეუქმნის.



ელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილების ფორმატში განხორციელდება, მასზე დარგობრივი ზედამხედველობა კი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პერეოგატივა იქნება. სახელდა იხილ, რომ კომისია მის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს განკარგულებებს გამოსცემს, რისი უფლებაც მანამდე არ გააჩნდა. საკუთრების უფლების აღიარების კომისიები გამგებობებთან/მერიებთან არაუგვიანეს 45 დღის ვადაში - ანუ 2016 წლის 1 აგვისტომდე უნდა შეიქმნას. კომისიები ჩაითვლებიან მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან ამჟამად არსებული ანალოგიური კომისიების უფლებამოსილებად. ახლად შექმნილმა კომისიებმა 2016 წლის 1 აგვისტომდე შეტანილ განცხადებებზე ადმინისტრაციული წარმოება საკანონმდებლო ცვლილებებამდე არსებული წესის შესაბამისად უნდა გაგრძელონ და დაასრულონ.

სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში მსვენელი და შემსრულებელი



ლია ბურჯანაძე

არც ამჯერად უდალბა თავის ტრაგედიას აიპ „საგარეჯოს“ ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლამ და 16 ივნისს საკონცერტო დარბაზში მუსიკის მოყვარულებს, მუსიკალური განათლების ხელშემწყობთ უმასპინძლა. აქ ამ სკოლაში 22 პედაგოგის პროფესიული მოღვაწეობითა და გამოცდილებით 220 მოსწავლე სამუსიკო განათლებას ეუფლება. კონცერტზე კი ის მოსწავლეები წარდგნენ მსმენელის წინაშე, ვინც მთელი სასწავლო წლის მანძილზე თავიანთი დაუდალავი შრომითა და გარჯით, პედაგოგთა ძალისხმევით შეძლეს საუკეთესო, წარჩინებული მოსწავლის სახელის მოპოვება. ადვილი არ არის საჯარო სკოლის

ნარა ბურჯანაძის, ელზა ხიპაშვილის მოსწავლეებს, რომელთაც მართლაც ღირსეულად გაართვეს თავი რთული ნაწარმოებების შესრულებას.

კონცერტის დასასრულს სკოლის დირექტორმა ლია ბურჯანაძემ სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს სიგელები გადასცა და სკოლის 28 კურსდამთავრებულს გზა დაუღო. სამომავლო წარმატებებისკენ.



საბა

პარალელურად მოსწავლემ სისტემატურად შეძლოს გაკვეთილებზე მომზადებული მისვლა, იმ პროგრამის ადვილად დაძლევა, რაც მათ სასწავლო პროცესშია გათვალისწინებული, მაგრამ აქ სკოლის ამ კედლებში, მათ პედაგოგების სითბო, ურთიერთდამოკიდებულება კიდევ იხიდავთ და კიდევ უდავლილებთ ახალ-ახალი მუსიკალური ნაწარმოებების შეს-

წავლას. მალე რეგიონალურ კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას, დღევანდელი დღის კონცერტი კი მათთვის რეპერტიციაა, რომელსაც წარმატებით ჩატარებენ. ასეთი კონცერტები მათ წარმატებით არაერთხელაც ჩატარებიათ და მსმენელს ოვაციებითა და დამსახურებული ტაშითაც დაუჯიდლოვებია ისინი.

სულგანაბული უსმენდა დარბაზი გამოცდილი პედაგოგების ნელი ყანაშვილის, თეა ხატიაშვილის, მირცა ჯაფარიძის, ნინო ოსიყვიშვილის, მარინა ურდულაშვილის, ლეილა შეყრილაძის, ლია ნაცვლიშვილის, მანანა მამუკაშვილის, ეკა გოგიშვილის, მარია ჯინჭარაძის, დი-



საბა



თაზო

გზინი მუნიციპალიტეტი

სოფელი სახეი

დასასრული დასაწყისი იხ. „გარეჯის მაცნე“ № 11

საჯარო სკოლა



საჯარო სკოლაში (მენეჯერი ეკატერინე გოგელია) 12 ფუნანსურ კლასში 150 მოსწავლეა. აქ 26 პედაგოგია, მათგან 13 სერტიფიცირებული. სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმული სკოლის გარეშე მუშაობაში.

სკოლას აქვს საკმაოდ დიდი ეზო, სადაც ნარგავებთან ერთად განთავსებულია ღია სპორტული მოედანი, მაგრამ სპორტული მოედანი მოუწყობელია. ფეხბურთის კარს არა აქვს ბაღები, არ არის კალათბურთის ფარი, ახალგაზრდონ-



სკოლის დერეფანი

ტებულია სკოლის სპორტდარბაზი, მაგრამ არც იქაა სპორტული ინვენტარი, თუმცა ხაშმელი მოსწავლეების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი რაგბის სექციაში (პატარაშვილებში) არიან გაერთიანებული: ვანო კერესელიძე, საბა ვეშაბიძე, გიორგი და შოთა ნახუცრიშვილები, ირაკლი ჩიქოვანი, გიორგი მესტირიშვილი, ისინი გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ. ასეთივე წარმატებები აქვთ სოფელში ახლადგახსნილი



სკოლის ეზო

თავისუფალი ჰიდაობის სექციის მოსწავლეებსაც. გაზაფხულზე საგარეჯოში გამართულ არსენ მეკოიშვილის სახელობის ტურნირზე თემურ ნახუცრიშვილმა ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ხოლო გიორგი შინჯიკაშვილი და ნიკა შინჯიკაშვილი II ადგილს დასჯერდნენ. III ადგილი მოიპოვა ლუკა მამუნიშვილმა.



სკოლის სპორტული დარბაზი

ბულ ინტელექტუალურ თამაშებში „სად, ვინ, როდის?“ საჯარო სკოლის მოსწავლეებმა II ადგილი დაიკავეს.

სოფლის მეურნეობა

საჯარო სკოლის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მევენახეობა, მეღვინეობა და მეცხოველეობაა. გასულ წელს ხაშმელმა მევენახეებმა 52 ტონა ყურძენი მიჰყიდეს ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ ქარხნებს.

ჯანდაცვა

სოფელში ფუნქციონირებს საექიმო ამბულატორია. ოჯახის ორი ექიმი მაია კველიშვილი და თინიკო ციქურიშვილი სოფლის 1700 მოსახლეს ემსახურება. ამბულატორ-



ოჯახის ექიმი მაია კველიშვილი

რია სოფლის ადმინისტრაციული შენობის III სართულზე განთავსებული, რის გამოც აქაურებს უჭირთ კიბეებზე ასვლა.

სკოლა

საჯარო თავისუფალი ჰიდაობის სექცია (მწვრთნელი ნიკოლოზ გაგნიშვილი) სულ ახლახანს, აპრილში გაიხსნა – სოფლის შუაგულში არსებული ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე. წლების წინ ხაშმში თავისუფალ ჰიდაობას მწვრთნელი ლადო მესტირიშვილი ედგა სათავეში. მწვრთნელთან ერ-



თად მსოფლიოში ცნობილი, აღიარებული მსაჯი შოთა ზუკაკიშვილი შეეცადა დარბაზის სრულყოფილ მოწყობას, ხაშმში მომავალი ჩემპიონების აღზრდას, მაგრამ შემდეგ მწვრთნელი სამუშაოდ მაკედონიაში წავიდა, შეტანილი ინვენტარის ნაწილი

მშენებლის მემკვიდრეობა

სოფელი საშვი

დასასრული

წლების განმავლობაში თითქმის უფარგის გახდა... გული სწყდებოდათ აქაურებს - ჭიდაობით განთქმულ საშვიში ადარ იყო კერა, საიდანაც საშვის სახელს ეკლავ მოპყენდნენ საქართველოს და საქართველოს ფარგლებს გარეთ.



ველოს ფარგლებს გარეთ. შენობა მთლიანად სარეაბილიტაციოა, მაგრამ „აიპ“ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ხელმძღვანელობის ძალისხმევით და დახმარებით, როგორც იქნა, დარბაზში ვარჯიშის პირობების შექმნა შეძლეს. თავდაპირველად აქ ბევრი მოსწავლე მოვიდა, განურჩევლად ასაკისა, ვარჯიშში დაიწყო, ნელ-ნელა შემოიტანეს ღებები, პირველად თითქოს ჰყოფნიდათ, მაგრამ, როცა რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისგან შეკრულ დიდ ოთახში ვეღარ გასწვდა კუსტარული ღუმელის სითბო, მოსწავლეთა რაოდენობა აქ 16-მდე ჩამოვიდა, მაგრამ დათბა თუ არა, ყველა ისევ დარბაზს დაუბრუნდა. მართალია, აქ ვარჯიშისათვის საჭირო აუცილებელი ინვენტარი არა აქვთ, მაგრამ ინტერესი დიდია ჭიდაობის იდეების დაუფლების. აქ 7 წლის გიორგი ნიკოლაშვილი ისეთი მონდომებით ვარჯიშობს, ალბათ მისი სახელი მალე საქართველოში გახდება ცნობილი. რაღაცნაირი ინტერესი აქვს - გახდეს ჩემპიონი, საშვილებს ახლაც არ ავიწყდებათ ბუბის ძმის ჭიდაობის დროს მიიმე ტრავმით გარდაცვლილი საშვილი ვახტანგ ნახუცრიშვილი, რომლის სიღამაზესა და ჭიდაობაზე ღვაწიანობით უყვებიან ნათესავები, ხაშვილები...

ერთად საშვილებს ბიჭებს ახალ-ახალი გამარჯვებების მისაღწევად ეხმარება.

ახალგაზრდობა

სოფლის ახალგაზრდობა ქორეოგრაფიულ ანსამბლში (ხელმძღვანელი ჯიმი ეპიტაშვილი), ფორტეპიანოს წრესა (პედაგოგი ნათია მაჭავარიანი) და თავისუფალი ჭიდაობის სექციაში (მწვრთნელი ნიკა გოგინაშვილი) არიან გაერთიანებული.

ისტორიულ-მატიმალური კვლევები

ბასში საუკუნის 80-90-იან წლებში ხაშვილები ერთ-ერთ კოლმრავალ და ხალხმრავალ სოფელს წარმოადგენდა, რომელიც დიდი მოწიწებით პატივს მიაგებდა თავის სახელოვან შვილებს. უპირველესად კი ამავობა და დღესაც იწონებს თავს თავისი ისტორიულ-მატიმალური ძეგლებით: კაწარეთის საშვილი, რომლის აშენებაც ვახტანგ გორგასალს უკავშირდება. ლევენდის მიხედვით ვახტანგ გორგასალს თავისი ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ჯარი კაწარეთში დაუბანაკებია, რომელიც მაშინ დასახლებული ადგილი ყოფილა. გორგასალს აღიქმა დაუდგია - თუ გამარჯვებული დავებრუნდები, ამ ადგილას ეკლესიას

კაწარეთი



ავაშენებ წმინდა სამების სახელებს. ვახტანგ მეფემ გაიმარჯვა ოსებზე და აღიქმა შეასრულა, თუმცა, გადმოცემის თანახმად, ეკლესიის კურთხევის ვეღარ მოესწრო და ეს VI საუკუნეში ვახტანგ გორგასალის მემკვიდრის დახის დროს ჩაუტარებიათ. 506 წლის „ღვინის“ საეკლესიო კრებას 24 ქართველ მღვდელმთავართან კაწარელი ეპისკოპოსი ზაქარიაც ესწრებოდა. XIII საუკუნეში კი სამართლებრივი დოკუმენტის მიხედვით კაწარელი ეპისკოპოსი დარბაზობისას მგვიდან მე-20 ადგილზე იჯდა.

კაწარეთის სამების ტაძარი XVI-XVII საუკუნეებში კახეთის მეფეების ლეონისა და ალექსანდრე II-ის მიერ მოწვეულ მხატვრებს მოუხატავთ.

კაწარეთის სამების კათედრალს დიდი გადაკეთება და სარესტავრაციო სამუშაოები IX საუკუნეში, 1885 წელს კი ვეზარხორის პალატის და დავით გარეჯის უდაბნოს ითანე ნათლისცემლის მონასტრის ყოფილი წინამძღვრის არქიმანდრიტ მაკარის მიერ მნიშვნელოვანი სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა. საბჭოთა პერიოდში ერთხანს ხაშვის კოლმეურნეობის მფლობელების ფერმა ფუნქციონირებდა. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან კი საკათედრო ტაძარს მცველი დაენიშნა, თუმცა... 60-იანი წლებიდან აქ შენობა-გადაიხურა, მაგრამ უხარისხოდ და წვიმისა და თოვლის წყალს ჩამოდიოდა.

1983 წლიდან კვლავ ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები. დღეს იგი სავარჯიშო-ნიშნების ეპარქიაში შედის, სადაც დედათა მონასტერი ფუნქციონირებს და აქაური ეპარქიის მთავარეპისკოპოსის ხელმძღვანელობით სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

ხაშვის ჩრდილოეთით, სოფლიდან 4 კმ-ის დაშორებით, მდინარე იორისა და „ლაფიანხევის“ შესართავში უძველესი ნასოფლარის ნაშთებს შორის შემორჩენილია ეკლესია, რომელიც ყოველწმინდას სახელითა ცნობილი ძეგლი IX საუკუნისაა და აშენებულია ყოველწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელზე. ამ ეკლესიას მეორე სახელიც აქვს - „მონასტერი და ციხე ნათლისცემლის მონასტრის“, რომელსაც XVI-XVII საუკუნეებშიც მიუმატეს სამართლიანი კოშკი. ამ ტერიტორიაზე არსებული სოფელი ველისციხე, რომელიც ისტორიოსის გადმოცემით ხალხმრავალი ყოფილა, რასაც ადასტურებს ციხის გარშემო, მის ვრცელ ტერიტორიაზე კეთილის ნაგებობათა სიმრავლე. როგორც ნანს, ეს ნაგებობები ზოგი საცხოვრებელი, ზოგი საკულტო და ზოგიც სავაჭრო დანიშნულების ყოფილა. ეკლესიის და ციხის ირგვლივ ტყეში ოცზე მეტი სხვადასხვა პერიოდში აშენებული ეკლესიაა. მათგან უმეტესობა XVII-XVIII საუკუნეებში აშენებულია: წმინდა მარინეს ეკლესია (ლაფიანხევი), ციხურების ეკლესია (სკამიანი), ლაფიანხევის სანაპიროზე, ნაჩაფრალის ეკლესია (ვაკე ტყეში), წიფლის ტყის ეკლესია (ვატის ტერიტორიაზე), ჯაგოდინის ეკლესია (უჯარმის ციხის მოპირდაპირე მხარეს), ნაქვე-საფრისის ეკლესია (პალატის ფერდა), შაგაციანთ ყვავის ეკლესია (ლაფიანხევის ტერიტორიაზე).

ეკლესია „ყოველწმინდა“ მრავალჯერ დანგრეულია მტრების შემოსევების დროს. მისთვის დიდი ყურადღება ხაშვის მკვიდრს ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს მიუქცევია, მაგრამ ეკლესიის სრულ აღდგენას ვეღარ შესწრებია. 1897-1900 წლებში ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა. უკანასკნელ ხანს კი საქართველოს საპატრიარქომ და სოფელმა დანგრევის გადაარჩინა.

მდინარე იორის მარცხენა სანაპიროზე ითანე ნათლისცემლის ხაშვის ეკლესია, რომელიც ერთ დროს დავით გარეჯის უდაბნოს ითანე ნათლისცემლის მონასტრის ხაშვის ფილიალს წარმოადგენდა, მისი მშენებლობა XVII საუკუნის დამლევის დამთავრებულა, ითანე ნათლისცემლის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ხარიტონის დროს. იგი XVIII საუკუნიდან წარმოადგენდა გარე კახეთის განათლებისა და კულტურის ერთ-ერთ მთავარ კერას. აქ არსებობდა დაწვებითი ტიპის სკოლა, სადაც მოზარდებს ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, საღვთო სჯულს, არითმეტიკას, ისტორიას, გალობას. თავის დროზე აქ დაწვებითი განათლება მიუღია გამონყინი ქართული ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს. მონასტრის ახსნამდე დიდი ნგრევა განიცადა 1988 წლის გაზაფხულზე მომხდარი მიწისძვრისას, როცა მთლიანად დაინგრა



როგორც ეკლესია, ისე ციხე-კოშკები. 2006 წელს კი კულტურის სამინისტრომ და საქართველოს საპატრიარქომ სახელმწიფოს ხელშეწყობით და სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით თითქმის მთლიანად აღადგინა ახსნამდელი და დღეს იქ წირვა-ლოცვა მიმდინარეობს.

სოფლიდან მოშორებით, იორის მარცხენა სანაპიროზე ე.წ. ჩოლოყაშვილების საგვარეულო რეზიდენციაა, რომლის ირგვლივ XIX საუკუნის დასრულებამდე არსებობდა კატარა სოფელი მარაბუშანი. რეზიდენცია შედგება ორსართულიანი, აივნისანი სასახლისგან, ციხე-კოშკებისგან და კარის ეკლესიისგან, რომელიც წმინდა გიორგის სახელობისაა. 1929 წელს იგი ჩამოართვეს კანონიერ მფლობელებს და ხაშვის კოლმეურნეობას გადასცეს. აქ არის დიდი მარანი გიგანტური ქვევრებით. 80-იან წლებში აქ სამების ღვინის ქარხანა იყო, მისმა

ხელმძღვანელობამ რესტავრაცია ჩაუტარა რეზიდენციას. 90-იანი წლებიდან კი იგი თავის კანონიერ მფლობელებს - ყარაბულახელი ჩოლოყაშვილების შთამომავლებს დაუბრუნდა.



დღეს სოფელში ორი მოქმედი ეკლესიაა - წმინდა გიორგის და წმინდა ნიკოლოზის სახელობის.

ცნობილი ადამიანები

სოფელი ხაშვი ცნობილი გახდა თავისი დიდი ხელოსანებით. აქ 1825 წელს დაიბადა (გარდაიცვალა 1870 წელს) დიდი ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს ჭირისუფალი და გულშემატკივარი დიმიტრი ბაქრაძე, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა ხაშვის ტერიტორიაზე მიმობნეულ ისტორიულ-მატიმალურ ძეგლებს.




1876 წელს სოფელ ხაშვიში დაიბადა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ოსებ იმედაშვილი. მიმდინარე წლის 20 აპრილს მას 140 წელი შეუსრულდა. იგი აქტიურად იყო ჩაბმული მუშათა რევოლუციური მოძრაობაში. ერთხანს იგი გარეკახეთის მამასახლისადაც აურჩევიათ და „იორის ხეობის პრეზიდენტადც“. მისი რევოლუციური მოღვაწეობა შიშის ზარს სცემდა თურმე მეფის ხელისუფლების პოლიციას და ეხდარმერია. მას ცარიზმის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯებისათვის ოთხწლიანი კატორღაც მიუხაჯეს...

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ხაშვიში იმართებოდა სასოფლო წარმოდგენები ოსებ იმედაშვილის მიერ დაარსებული სცენისმოყვარეთა დასის მიერ. ამ წარმოდგენებში იგი მონაწილეობდა როგორც მსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი. იყო გაზეთ „ხალხის ერთობის“, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი. ავტორია პიესების, გამომცემელია უცხო სიტყვათა ლექსიკონის, რომელიც თვითონვე შეადგინა.

ხაშვილებს და საერთოდ, კახელების საგვარეულო მწერალი იყო იმედაშვილი, რომელიც თვითონვე შეადგინა.

საშვილებს და საერთოდ, კახელების საგვარეულო მწერალი იყო იმედაშვილი, რომელიც თვითონვე შეადგინა. იმედაშვილი, თეხიკო თევზაძე, ალექსი ქისტაური, გოგი ყირმელაშვილი, ვია ნახუცრიშვილი...



სპორტსი

ბამარჯვებულები

სპორტსი

კიუ-დო

ბაქოს საერთაშორისო ტურნირიდან

ასპინძაში „ვარძიის თასზე“

17-19 ივნისს დაბა ასპინძაში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში „ვარძიის თასი“, 2003-2004 და 2005-2006 წლებში დაბადებულ ჯაბუკ ძიუდოსიტებსა და 2001-2003 წლიან გოგონათა შორის. ტურნირში ქვეყნის სხვა ფალანგებთან ერთად მონაწილეობდნენ და წარმატებით იასპარეხეს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ძიუდოსტმა გოგონებმა. ხუთი ოქრო, ოთხი ვერცხლი, და 5 ბრინჯაო, ასეთია ასპინძის ტაბაშე ლუდმილა ფერადის აღსაზრდელთა შედეგი.



მათგან „ვარძიის თასის“ გამარჯვებულები და ჩემპიონები გახდნენ: მარიამ ხოსიტაშვილი, სალომე გულისაშვილი, სალომე ბლიაძე, ხათუნა თვაური, ნელი გულისაშვილი. ვერცხლის პრიზორები გახდნენ ლალი ხოსიტაშვილი, ანა ასანიშვილი, გულიკო კახიანიცი, მზია ტაკაშვილი. მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს თამაზ სუხიაშვილმა, ვარდიკო ბუჩაშვილმა, ნინო ლოლაძემ, ხატია მინდიაშვილმა, მარიამ ლაფანიშვილმა.

– ევროპის პირველობაზე

ამასწინათ ბაქოში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში გოგონებსა და ვაჟებს შორის, რომელშიც საქართველოს სახელით მონაწილეობას იღებდა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელ ლუდა ფერადის აღსაზრდელი **თინათო რევაზიშვილი**. ჩვენებურმა მოჭიდავე გოგონამ ვაჟაკურად გაიკაფა გზა ფინალურ ორთაბრძოლაში, სადაც მიაღწია ვიცე-ჩემპიონობას და ამით ევროპის პირველობის საგზურიც მოიპოვა.



თავისუფალი ჭილაობა

კობა კაკალაშვილის სახელობის ტურნირზე

ივნისის დასაწყისში ჩატარდა კობა კაკალაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მოჭიდავეებიც.

29 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი დაიკავა თორნიკე ასაბაშვილმა. ბაჩო ქვლივიძე ვიცე-ჩემპიონი გახდა 50 კგ. წონით კატეგორიაში. ტურნირზე მესამე ადგილები დაიკავეს შადვა გულისაშვილმა (29კგ) და ფირუზ ქვლივიძემ (47კგ). საგარეჯოელთა გუნდი ასპარეზობისათვის მოამზადა „სპორტგაერთიანების“ მწვრთნელმა რამაზ ასაბაშვილმა.



მიხეილ ბოჭორიძეს ევროპის პირველობაზე იასპარეზებს

მს პრივილეგია მწვრთნელ კობა საგინაშვილის აღსაზრდელმა თურქეთში გამართულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეების საერთაშორისო ტურნირზე მოიპოვა, სადაც დაუმარცხებლად განვლო გზა პირველი შეხვედრიდან ფინალურ ორთაბრძოლაში და დამსახურებულად მოიპოვა ტურნირის ჩემპიონის ტიტული.

ქართული ჭილაობა

ბამარჯვებულები საგარეჯოელები

მაისის ბოლოს მცხეთის რაიონის სოფელ გაღაგანში ჩატარდა ცნობილი გაღაგანელი ფალანგის არჩილ ჩოხელის სსოფნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ტურნირში საქართველოს სხვა რეგიონების ფალანგებთან ერთად მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელების – ნუკრი გაგინაშვილისა და ზვიად შათირიშვილის მიერ მომზადებული გუნდის წევრები. ერთი I, ადვინიე II და მესამე ადგილი – ასეთია გაღაგანში საგარეჯოელთა ასპარეზობის შედეგი. აქედან, 66 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა და ჩემპიონი გახდა გიორგი მღებრიშვილი, ამავე წონაში მესამე ადგილზე გავიდა გიორგი მესროფოვი, ლაშა მათიაშვილმა ვერცხლის მედალი მიიმე წონაში ასპარეზობისას დაიმსახურა..

მასპინძლობდა უღაბნო



რობორც ცნობილია 4 ივნისს, სოფელ უღაბნოში ჩატარდა სახალხო დღესასწაული – „აქ მოელი საქართველო“, რომელშიც სხვა დონისძიებებთან ერთად მოწონება დაიმსახურა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ძიუდოსტმა გოგონებმა ქართულ ჭიდაობაში.

ჭიდაობა ხუთ ძირითად წონით კატეგორიაში ტარდებოდა, სადაც საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

25 კგ. წონით კატეგორია: I – ზურა გურჩიანი; II – გიორგი ხერგანი; III – დათო მეხერიშვილი.

29 კგ. წონით კატეგორია: I – ვახო ჭიაბერაშვილი, II – დათო კველიშვილი; III – დათო მეხერიშვილი.

34 კგ. წონით კატეგორია: I – მახარე გულბანი, II – გიორგი ზუკაკიშვილი, III – ამირან გვიდანი;

38 კგ. წონით კატეგორია: I – გიორგი არღვლიანი, II – ნიკა ჩოკოშვილი, III – ირაკლი იოსელიანი;

46 კგ. წონით კატეგორია: I – იაგო გულბანი, II – დავით მეშველიანი, III – ლუკა ნავერიანი; აბსოლუტურ წონაში ჩემპიონი გახდა და პრიზი – ჭედილა დაისაკურთა სიმონ მამარდაშვილმა.

გვერდი მოამზადა

გივი ლაბახიშვილმა

კრივი

საგარეჯოელან დიდი ჩინგისაქენ



მათაღლია საგარეჯო ოლითგანევი ჭიდაობის კერადაა მიხნეული, მაგრამ ჩვენებურებისათვის არც ჭადრაკი, მკლელობა, ფეხბურთი, მკლავჭიდი ან უცხო, აი, კრივი კი სულ რამდენიმე წელია, რაც მწვრთნელ ზურაბ იმნაძის ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექციის თანადგომითა და დახმარებით დამკვიდრდა. დიდი კრივისათვის 4-5 წელი არაფერს ნიშნავს, მიუხედავად ამისა, ჩვენს მოკრივეებს უკვე გაკეთებული აქვთ გარკვეული განცხადი ქართული კრივის ყოველდღიურობაში. ამ ოთხ-ხუთ წელიწადში იმნაძის აღსაზრდელთაგან რამდენიმე უკვე ქვეყნის ნაკრებშია აყვანილი და ამ ხნის მანძილზე ისე არც ერთი ტურნირი არ ჩატარებულა, რომ ჩვენს მოკრივეებს ჩემპიონობისა და საპრიზო ადგილების დაკავების გარეშე ეასპარეხოთ, რაზედაც ჩვენს გახუთი ყოველთვის აწვდის ინფორმაციას გარეჯული სპორტის გულშემბატკიერებს. ერთ-ერთი ასეთია საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის მეთავე კლასის მოსწავლე, იმედიან მომცემი **მოკრივე მაღარი ბუღიაშვილი**.

ვალერიმ კრივში ვარჯიში 14 წლის ასაკში, 2014 წელს დაიწყო. პირველი ოფიციალური შეჯიბრი, რომელშიც მან მონაწილეობა მიიღო, დეკემბერში გამართული 300 არაგველის სახელობის ტურნირი იყო, სადაც გამოუცდელიობისა და ამასთან დაკავშირებული ემოციების მიუხედავად, მეორე ადგილი და ვერცხლის სინჯის მედალი მოიპოვა. იგივე შედეგებით დაასრულა მან თავისი გამოსვლები სხვა მომდევნო შეჯიბრებებზე, სადაც ფინალების დათმობა თავისზე გამოცდილ, საქართველოს ნაკრების წევრებთან მოუხდა.

მწვრთნელი ისე რა მწვრთნელია, ვალერიისთვის ეს მოწადინება არ შეეძინა და განსაკუთრებული „განაწევი“ დაუდგინა დამწვებ მორკინალს, – გაუზარდა ვარჯიშების ხანგრძლივობა და ინტენსიურობა და აი, შედეგიც. ციხისძირის საკადაქთაშორისო ტურნირზე, სადაც ვალერი 63 კგ წონით კატეგორიაში იღებდა მონაწილეობას, მან შეძლო ყველა მეტოქის დაჯახება და ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვება. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ მან ამ ტურნირზე უკვე შეძლო ძირითადი მეტოქის, საქართველოს ნაკრების წევრის კახურაშვილის დამარცხება. ამჟამად კი მწვრთნელი და მისი აღსაზრდელები ხესტაფონის ტურნირი-

სათვის ემზადებიან. სწორედ ასეთი ვარჯიშისას(15 ივნისი) კრივის ახალ დარბაზში ჩვენ გავესაუბრეთ ვალერიის. როგორც მან აღნიშნა, საგარეჯოში ტრადიციული და პოპულარული ჭიდაობის ნაცვლად მან ვარჯიში კრივში ამჯობინა, რადგან იგი უადრესად ვაჟაკურ და მსოფლიოში პოპულარულ სპორტად მიანია. მისი ძირითადი წონითი კატეგორია არის 63 კგ, სადაც ჩვენს მოკრივეს მარჯვენა დგომით გამოდის, თუმცა, მწვრთნელის დახმარებით ცდილობს „ცაცის“ დაუფლებასაც.

– ჩემი ამჟამინდელი მიზანი არის გავხდე საქართველოს ნაკრების წევრი და ქვეყნის ჩემპიონი, რითაც საშუალება მექნება გამოვიდე ჩემი ასაკის სპორტსმენებისათვის სექტემბერში გამართულ საქართველოს პირველობაზე. ჩემს ძირითად კონკურენტებად თბილისელი მოკრივეები მიმანია, რადგან მათ ჩვენთან შედარებით ვარჯიშის მეტი პირობები და საშუალება აქვთ. ამიტომ ახლა ინტენსიურად და მონდომებით ვემზადები, რომ გადავლახო მათი წინააღმდეგობა და ავისრულო ჩემი ოცნება. კრივში ჩემი იდეალი იყო მუჰამედ ალი. მომწონდა მისი სტილი და მანერები. მწვრთნელი მაიმედებს, რომ ჩემგან შეიძლება ძლიერი და სრულყოფილი მოკრივე დადგეს. ენახოთ, როგორ გაეამართლებ მის ამ პროგნოზებს. კრივის გარდა მაინტერესებს მხატვრული ლიტერატურა და კალათბურთი, – მეუბნება ვალერი.

ვალერიისთან საუბრის შემდეგ მასზე აზრის გამოთქმა ზურაბ იმნაძესაც ვთხოვეთ.

– ვალერი სულ ორი წელია, რაც ვარჯიშობს. კრივში ეს დრო არაფერია. მიუხედავად ამისა, იგი ტოლს არ უდებს მასზე უფროსი ასაკის და სავარჯიშოდ ერთ-ორი წლით ადრე მოსულებს. მართალია, ისინი უფრო გამოცდილები და მომზადებულები არიან, მაგრამ რინგზე ვარჯიშისას ვალერიის ვერ ჩაგრავენ. ენახოთ, მე მისი დიდი იმედი მაქვს. თავიდან საგარეჯოში ბავშვების ვარჯიში მეც თითქმის „ნოლიდან“ დავიწყე, ახლა კი მუნიციპალიტეტის და სპორტგაერთიანების ხელმძღვანელობის დახმარებით ახალი საგარეჯოელო დარბაზი გვაქვს, მოვაწყეთ რინგი, დარბაზი დარბაზს დავამსგავსეთ. გვიპრდებიან, რომ მაღე სხვა პრობლემებსაც მოგვიგვარებენ და აქ ვარჯიშის მეტი პირობები ექნება ვალერიისაც და კრივის სექციის სხვა წევრებსაც. საგარეჯო განთქმულია მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი მოჭიდავეებითა და მკლავჭიდავეებით და მინდა, რომ ამ დონის მოკრივეებიც გაუზარდოთ ჩვენს ქვეყანას.



	სიძე- ულეების მამიებელი	უარი						ბოსტ- ნეული	... რონალდუ		არისტოკრა- ტიული ტიტული	ქარ- თული გაზეთი	
							ტბა გარდაბნის რაიონში	თემურაზ ხვეისთავის თიკიუნი					
				სვლა ჭადრაკ- ში					ერთ-ერთი კუროპა- ლატი				
							ომის წარმოების სელოვნება						მაუგლის მეგობარი
სტუდენტის გამოცდის სახეობა								შოკო- ლა- დის ხე					რიგის საფეხბ. კლუბი
რუსული ფული				ინგლისელი ფეხბურთე- ლი					ქვეყანა ვეროპა- ში				
									ბ- სააკადის სოფელი				
			კოტორაშ- ვილის იარაღი	მარცე- ლეული კულტურა	სამართალ- დამცავი ორგანო				ფრი- დონის სახელი				ქალაქი თურქეთში
ჯანი როდარის ხდაპარი													... ბელი
		ძველი გერმანია	... ვიბსონი რეზო					ქვეყანა აფრი- კაში	დიდი ვენახი			ეგვიპ- ტური ღვთაება	
								იაპონური ავტომან- ქანა					
სალაპრა- კო ინსტრუ- მენტი					ბრიტა- ნელი მომ- ღერალი							ბამბის თეთრი ქსოვილი	
					საკერო- ბილე								
ველური ეურძენი							გამარჯულებ- ის ქალ- ღმერთი	ციცხალი ორგანიზმის მოტორი			იტალი- ური ღი- ქიორი	პიტლერის ფელ- მარშალი	

სულოკუ

მარტივი

საშუალო

რთული

7			1			3	5
				5	8	1	
	1	2			6	9	8
	7	4	3	2			9
	6					2	
3				4	5	8	7
2	5		4			7	8
		7	8	1			
6	4				3		2

			9				3
	7	3	5				6
		9	4		6		8
6				5		8	7
3				7			4
2		7		6			1
	8		1		3	5	
	3				5	1	7
9					8		

	1	6			7		2
					2		7
7	2		5				9
					4	5	
	6		9				1
		5	6				
	2			6		1	4
	3		5				
8			3			7	6

4	5	3	7	2	1	6	9	8
1	7	8	9	3	6	2	4	5
9	6	2	8	5	4	3	7	1
7	3	1	6	4	8	5	2	9
6	8	4	5	9	2	7	1	3
5	2	9	3	1	7	8	6	4
3	9	7	4	6	5	1	8	2
8	1	5	2	7	9	4	3	6
2	4	6	1	8	3	9	5	7

„ბარეჯის მაცნე“
№10-ში
ბამოქმეყნებული
სულოკუს
პასუხები

3	9	8	7	5	2	6	1	4
7	6	2	1	4	8	3	9	5
5	4	1	9	3	6	7	2	8
2	8	5	3	1	7	4	6	9
4	7	6	2	8	9	5	3	1
1	3	9	5	6	4	8	7	2
9	5	3	4	7	1	2	8	6
6	1	4	8	2	3	9	5	7
8	2	7	6	9	5	1	4	3

2	8	7	9	6	1	5	3	4
9	1	5	4	2	3	6	7	8
4	6	3	7	5	8	9	2	1
6	4	9	8	7	5	3	1	2
8	5	2	1	3	6	4	9	7
3	7	1	2	4	9	8	5	6
5	3	4	6	1	7	2	8	9
1	9	6	5	8	2	7	4	3
7	2	8	3	9	4	1	6	5

